ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კარასკევი, 4 მაისი № 1455

ფასი: ...ზეთი დრს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

...ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობ...ოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ТЕЛЕФОНИ № 372.

...ვდელნი **სიმონ** და **ავქსენტი სახოკიები** აუწყებენ ნათესავთა, ამხანაგთ და ...აცნობთ, რომ 8 მაისს, სოფ. შხეფის (სენაკის ახლო) მთავარ-ანგელოზის ეკ...ლეზიაში, გარდახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებუ...ლის—პირველის უსაყვარლესის შვილისა, ხოლო მეორის ძმის ხარკოვის უნივერ-სიტეტის სტუდენტის

სამსონ სახოკიას

სულის მოსახსენებლად. (1—1)

...მამა და ძმა განსვენებულის ხარკო...ს უნივერსიტეტის სტუდენტის **სამ...ნ სახოკიასი** უღრმესს მადლობას ...ირავენ ყველას, ვინც მონაწილეო...მიიღო მათ მწუხარებაში განსვენე...ულის დასაფლავებაზე დასწრებით ან ...ძიმრის დეპეშებისა და ბარათების ...მოგზავნით. (1—1)

...ფილისის კერძო ამკურნალო

...ჰიხეილ გედევანიშვილისა.

...ოებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმ...ების გარდა,

დ ი ღ ე ბ ი:

...ი. ...ინაძე — კბილის სნეულებანი 8 — ...საათამდე.

...ილ ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და ...ბა ელექტრობით — 9 — 10 ს.

...ს მულანი — ყურისა, ყელისა და ცხვირი... 11 — 12 საათამდე.

...ბ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი ...0 — 12 საათამდე.

...ნ. ბატალოვი — თვალისა 11 — 12 ს.

...ბა ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 — 12 ს.

...ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინა... 12 — 1 საათამდე.

...ლ. მარკვეზი — სადოსტაქრო — 12½ ...საათამდე, სამშაბათობით 3 — 4 საათამდე.

...დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და ...ესი — 1½ — 2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

...ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი ...6 საათამდე.

...ს. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ...ოებობანი) და ბიკრო-ქიმიური გამოკვლე... 5 — 6 საათზე.

...მ. ალალიშვილი — კვირაობით — 10 — 12 ს.

...ურნალის აქვს საწოლი ოთახები.

...ი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპე...ბი — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე ...ში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფ...

...ესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...შვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...ბარ). ტელეფონი № 274. (წდ.)

...ავალ გამოფენაზე **ბეჭდვითი საქმის ...ბილიოთნის** მომწყობი კომისია იწვევს ..., რომელთაც ჰსურთ გამოჰფინონ ნა...ები ხსენებულს პავილიონში, 20 ...დე გამოაცხადონ თავისი სურვილი ...ასთანავე აღნიშნონ რამდენი ოთხ... არშინი დასჭირდებათ ექსპონატები... ფასი ოთხ-კუთხი არშინისა 5 მ.— ...ამდე (ცენტრალურს დარბაზში). გან...ებასთან ერთად უნდა წარმოდგენილ ...ბე 3 მანათი ყოველ ოთხ-კუთხ ...ში. ექსპონენტებად შეუძლიათ იყვნენ ...ის ა) პერიოდული გამოცემანი, ბ) ...ის მაღაზიები და გამომცემლები, გ) სტამბები, ლიტოგრაფები, ფოტოგრაფები და სხვა ამგვარ დაწესებულებანი, რომელთაც კავშირი აქვთ ბეჭდვით საქმესთან.

განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს ტფილისში კომისიის მდივანს ი. მ. დოლუხანოვის სახელზე (განოვის ქ., № 17). პირისპირ მოლაპარაკება მდივანთან შეიძლება ყოველ-დღე, საღამოს 5 საათიდან 6-მდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ტელეფონის № 678. ბეჭდვითი საქმის პავილიონში იქნება უფასო სამკითხველო და პრესის წარმომადგენელთათვის სამუშაო ოთახი. (3—უ.—3)

ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო *).

II

მესამე მუხლი ჩვენის ეკონომიურის პროგრამისა, ქართულ მიწა-წყლის კითხვაა. ჩვენის მოსაზრებით, ამ კითხვას ჩვენ უმეტესი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რათა ენასთან და გვარ-ტომობასთან მიწაა ერთი უპირველესთაგანი ფაქტორი ეროვნულის ცხოვრებისა.

რასა ვხედავთ ჩვენ ჩვენს დაბა-სოფლებში? ერთის მხრით—მწარმოებელ გლეხებს, რომელნიც უმეტეს ნაწილად სხვის ადგილებზე დგანან, ხნავენ და სთესვენ, მეორეს მხრით—უწარმოებლად სარჩენი ჩვენი თავად-აზნაურობაა რომელსაც ხელში უპირავს დაჯალანებული მამა პაპეული მამულ-წყალი. ის მოსაზრება, ვითომ უმრავლესობას ჩვენის თავად-აზნაურობისას მიწა უკვე წაუვიდა ხელიდან, საფუძველს მოკლებულია. ოფიციალურის სტატისტიკით (1894 წ.) ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში კერძო საკუთრებას 2,491,426 დესიატინა შეადგენს, მხოლოდ აქედამ 2,075.782 დესიატინა თავად-აზნაურობას უკუთვნის. 1894 წლიდამ ეს რიცხვი ცოტა არ იყოს შემცირდა დიდ მამულების გაყიდვით ტფილ. გუბერნიაში. მხოლოდ ეს რიცხვი მაინც თვალსაჩინოდ დიდია. გლეხკაცების საკუთრებას შეადგენს ამ ორ გუბერნიაში მხოლოდ 416,644 დესიატინა. ამ ჟამად საქმე იმ გვარად მიდის, რომ სოფლის მიწის მფლობელობის ფიზიონომია ღღითი ღღე ძირიანად იცვლება. დაუკვირდეთ ჩვენს მდგომარეობას პირნათლად, ვსთქვათ ხმა მაღლა ის, რაც სათქმელია და რის დამალვა ჩვენი ბოლოს მომღებელი შეიქმნება. ჩვენი აზნაურობა ამ ჟამად იმ წერტილამდე მივიდა, რომ იგი თავის მამულების მყიდველების მოლოდინშიღა იმყოფება. ვალი რომ არ ედვას ამ მამულებს, აქამდის გაყიდვის პროცესსი უფრო ჩქარა წავიდოდა. და რომ ღღეს არა სდომნოდა კიდეც ჩვენს თავად აზნაურობას თავის მამულების გაყიდვა, ხვალ იგი იძულებული შეიქმნება ამ მამულებს გამოეთხოვოს, ამას მოითხოვს ის ულმობელი ცხოვრების კანონი, რომლის ძალითაც უშრომოდ და უწარმოებლად სიცოცხლე შეუძლებლად ხდება. ერთს ჩვენს წერილში ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ მხოლოდ იმ თავად-აზნაურობის ნაწილს შერჩება ჯერ-ჯერობით მამული, რომელიც მრეწველობა-ვაჭრობის გზას დაადგება, ან რომელიც ასე თუ ისე შეძენილ ფულით აწარმოებს მას. დანარჩენ ნაწილს თავად-აზნაურობისას არ შეიძლება რომ არ დაეკარგოს მამული, რადგანაც მისი შემოსავალი ვერ აკმაყოფილებს მის მრავალფეროვანს მოთხოვნილებას ჭამა სმისას, ჩაცმა-დახურვისა, შვილების აღზრდისა და სხვა და სხვა სასარგებლო და უსარგებლო ხარჯისას. ამ მდგომარეობამდე აუცილებლად უნდა მისულიყო ჩვენი აზნაურობა, რადგან ჩვენ დროში მას აეცალა არსებობისათვის გასამართლებელი საბუთი, ის ნიადაგი, რომელზედაც იგი მკვიდრად იდგა ძველ დროში და რომელიც აძლევდა მას ხელში საშუალებას საზოგადო საქმის ასრულებისას. იგი იყო სამხედრო მამულის მცველი წოდება. მას ჰქონდა საერო მნიშვნელობა და თავის ეკონომიურ უპირატესობის გასამათლებელი საბუთი. ჩვენ დროში ის აღარ არის მამულის მცველი; უმცირესი მისი ნაწილი გაერია საზოგადოებრივ ცხოვრებაში—ვაჭრობაში, მრეწველობაში სხვა და სხვა სამსახურში, მწერლობაში და სხვა. უმეტესობა კი დარჩა უმიზნოდ და უსაქმოდ; იგი დააწვა ხალხს და შეიქმნა ერთ უპირველეს მიზეზად ჩვენის საზოგადო უილაჯობისა და ღატაკობისა. ეს ასეა. ამის უარ-ჰყოფა შეუძლებელია. ყოველი შეგნებული წევრი ამ წოდებისა თავის გულის სიღრმეში ჰგრძნობს მაგას, მხოლოდ მაგისი გამოთქმა ეძნელება. ასე თუ ისე საქმე იმაშია მეთქი, რომ ორ მილიონ დესიატინას განსაცდელი მოელის. ღღეს თუ ხვალ იგი უნდა სხვის ხელში გადავიდეს. მხოლოდ ვის ხელში, კიდევ ვიკითხავთ ჩვენ?

ჩვენს მწერლობაში ის აზრი გამოითქვა, ვითომ მიწის დაკარგვის განსაცდელი არამც თუ აზნაურს, მოელის გლეხსაც კი; ვითომ თანამედროვე ეკონომიურ რევოლუციის პროცესსი იმაში მდგომარეობს, რომ სოფელი უნდა დაცარიელდეს, ხალხი გაღატაკდეს, ბოგანო შეიქმნეს და ქალაქებში მუშაობის საძებნელად წამოვიდეს და იქ დაბინავდეს. არც ჩვენი ცხოვრება იძლევა ამ დასკვნიდან საჭირო ფაქტებს, არც ევროპის ხალხთა ცხოვრება. ინგლისშიც სადაც მთელი მიწა მცირე რიცხვის კუთვნილება იყო და სადაც გლეხკაცობის კერძო მფლობელობა არ არსებობდა, ამ ბოლო წლეებში ამ სახით დიდი ცვლილება ხდება. (სოფლებში) ამ პატარა მფლობელების რიცხვი თანდათან იზრდება. ამის შესახებ ოდესმე გვექნება ბაასი და ჩვენ ფაქტებით და ციფრებით გავითვალისწინებთ საგანს. ჩვენშიაც ბატონ-ყმობის შემდეგ იმ პროცესსმა კი არ იჩინა თავი, ვითომ გლეხებს თან-და-თან მიწა ეკარგებად, არამედ იმან, რომ როცა კი შეეძლოოთ მათ, ისინი ყოველთვის იძენდნენ საკუთრებად მიწა-წყალს. ტფილისის გუბერნიაში 120,182 დესიატინა არის გლეხების საკუთრება. ქუთაისის გუბერნიაში—262,515 დესიატინა. ჩვენ ვხედავთ, რომ იქ (იმერეთში) სადაც წოდებრივ წეს-წყობილობის დარღვევის პროცესსი უფრო ჩქარი და შესამჩნევია, იქ გლეხები უფრო მკვიდრად ეტანებიან მიწას და იძენენ მას. რასაკვირველია, ამ ბოლო წლებში სამრეწველო ცენტრებში დიდ-ძალი ქართველობა დაიძრა. მხოლოდ ეს იმის მომასწავებელია მარტო, რომ ჩვენში უფრო და უფრო იჩენს თავს შრომის გახარჯვება და რომ ამისათვის ერთი ნაწილი ქალაქებს ეტანება, მეორე სოფლებში რჩება. ამ მოსაზრებას თავი რომ დავანებოთ, ყველასთვის, ვისაც კი უცხოვრია სოფელში და ლაპარაკი ჰქონიათ გლეხებთან, ცხადია, რომ ჩვენი გლეხის თვალსაჩინო თვისება ინდივიდუალიზმია, სურვილი მიწის შეძენისა და მასზე გამაგრებისა.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს კითხვას. ჩვენი მდგომარეობა მეტად ფაქიზია. წინადადება შემდეგია; ორ მილიონ დესიატინა მიწა-წყლის ბედია განსაცდელში. ამ უთვალავ მიწას დაცვა უნდა. თვითონ მკითხველმა წარმოიდგინოს, რა უნდა დაემართოს ჩვენს ხალხს, ჩვენს ეროვნობას და პიროვნობას, ამ მიწის ნახევარსაც რომ უცხოელები დაეპატრონონ? ჩვენი გადაგვარება, გაქარწყლება სწორედ მაშინ იქნება. რასაკვირველია, იმ მოძღვრების შეხედულებით, რომელიც ჩვენში კაპიტალისტების და მუშების შეტაკების და ბრძოლის მეტს არაფერს ხედავს, ამ კითხვის სიმწვავე არა სჩანს. მართლაც, ამ შეხედულობის ძალით, განა სულ ერთი არ არის—რა ტომის კაცია მამულის პატრონი, ქართველი თუ სომეხი? ქართველი მემამულე, როგორც კაპიტალისტი ისეთივე მტერიაო მუშისა, როგორიც იქნებოდა სომეხი და სხვ. ჩვენის აზრით, ეგ დიდი შეცდომაა. მიუხედავად ჩვენის მემამულის და გლეხის ერთმანერთთან წინააღმდეგობისა, საერთო ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს, რომ მამული მაინც ქართველს დარჩეს, გლეხია იგი თუ თავადი. ჩვენი მიწა-წყალის უცხოელების ხელში ჩავარდნას, ისევ, თუ კი შეიძლებს, ქართველ თავად-აზნაურობას შერჩეს იგი!

დიაღ, ქართველი ხალხის ინტერესები ამასაც კი მოითხოვენ. მხოლოდ, როგორც ჩვენ ზევით ვსთქვით, ჩვენი აზნაურობის აღორძინება საფიქრებელია და ამისათვის ჩვენ უნდა იმის ზრუნვაში ვიყოთ მაინც, რომ ჩვენი მიწა-წყალი (განურჩეველად წოდებისა) ქართველობას შეურჩინოთ. სილეზიაში (გერმანიაში) პოლონელებმა დააარსეს განსაკუთრებული ეროვნული ბანკი, რომელსაც მიზნად ჰქონდა შეეძინა ყოველი პოლონელებისაგან გაყიდული მამული. ამ შეძენილ მამულებს ჰყოფდნენ ნაწილებად და პოლონელებს აყიდვინებდნენ ნაწილ-ნაწილად ან კიდევ ერთიანად. განა ჩვენ კი არ შაგვიძლიანთ დავაარსოთ ამ გვარივე დაწესებულება, რომელიც გაუადვილებდა ქართველებს მამულის შეძენას? თუ ფულიანი მყიდველი გამოუჩნდებოდა გასასყიდ მამულს—აზნაური იქნება იგი თუ მრეწველ ვაჭარი, ის იყიდდა ამ მამულს, თუ არა და, ბანკი გაანაწილებდა ხსენებულ მამულს და გრძელ ვადიანის სესხის საშუალებით ქართველ გლეხ-კაცობას მიჰყიდდა. ფული არ არისო ჩვენში ბანკების დაარსებისათვის. ამ საქმისთვის ფული მოიძებნება. აი ღღესაც

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1454.

აქვს სჯა ჩვენს აზნაურობას, რას მოახმაროს გამოსატანი საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელი ფული. ამას სხვაც მიემატება, თუ შეიგნოს ჩვენმა საზოგადოებამ თავისი მოვალეობა, და თუ ჩვენი თავად-აზნაურობა თავის უკანასკნელ დანიშნულობის ასრულებაზე ხელს არ აიღებს. მანვე უნდა მოიპოვოს ყოველი ღონისძიება, რათა არ უღალატოს თავის საზოგადოებრივ მოვალეობას.

ამ მოსაზრებიდან ნათლად ირკვევა მესამე მუხლი ჩვენის ეკონომიურ პროგრამისა —ჩვენ ყოველი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ქართველების მიწა-წყალი მათვე შერჩეთ.

პოლიტიკო-ეკონომიური მდგომარეობა საქართველოსი იმ გვარია, რომ ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი ერის ეკონომიურად გაერთიანება. ეს გაერთიანება, ვრცელ შრომის განაწილებაზედ და არა კლასიურ ანტაგონიზმზედ აშენებული, საჭიროა ჩვენის ეროვნულის ანუ ადამიანურის წარმატებისათვის.

ჩვენ არ შევეხეთ სხვა წვრილმან ეკონომიურ კითხვებს, რომელთ განწყობა და განმარტება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, არ შევეხეთ მხანაგების, სინდიკატების, იაფ-ფასიან კრედიტის, გზების გაუმჯობესობის და სხვა ამ გვარ კითხვებს. არ შევეხეთ ამ კითხვებს იმ განზრახვით, რომ ჩვენი დედა-აზრი არ დაგვეფარა, ნათლად და მტკიცედ გამოგვესახა მიმართულება ჩვენის ეკონომიურ პროგრამისა, რომელიც მფარველობითი სისტემის დამყარება—დაფუძნებაში მდგომარეობს ვაჭრობა-მრეწველობის დასაცველად და წარმატებისათვის. ამ სისტემის რიგიანად მოწეს-რიგებას მოჰყვება შრომის განაწილების ასპარეზის გაგანიერება, რაიც საფუძვლად დაედება ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ გაერთიანებას.

არჩილ. ჯორჯაძე

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 მაისი.

ლონდონი. „ტაიმს“-ი ატყობინებენ პეკინიდან, რომ ჩინეთის მთავრობამ თავის საპასუხო ნოტასთან ერთად წარმოადგინა ნოტას თარგმანიც ფრანგულ ენაზე; ეს პირველი მაგალითია ჩინეთთან სადიპლომატო ურთიერთობის ისტორიაში.

ბერლინი. იმპერიის კანცლერმა წაიკითხა რეიხსტაგში იმპერატორის ბრძანება სხდომების შეწყვეტის შესახებ 13 ნოემბრამდე.

პენზა. სოფლებ ტრუბეტჩინოსა და ლუნინში (მოკშანის მაზრა) ცეცხლმა გაანადგურა 118 სახლი, 49 სხვა და სხვა შენობა და ლუნინის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

პეკინი. ნოტაში, რომლითაც ჩინეთის რწუნებულნი თანხმობას აცხადებდნენ 450 მილიონ ტაელის გადახდაზე, ნათქვამია, რომ ჩინეთს არ შეუძლიან 15 მილიონ ტაელზე მეტი გადიხადოს წელიწადში. დასასრულ, რწმუნებულნი სთხოვენ ელჩებს მიიღონ მხედველობაში ჩინეთის მდგომარეობა და განიხილონ—შეიძლება თუ არა შემცირებულ იქმნას საზღაურის რაოდენობა, და აგრეთვე ნება მისცენ ჩინეთს, ზარალის დასაფარავად, მოუმატოს უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე დაწესებულს ბაჟს. ჩინეთის ნოტა უცხოელებმა აღიარეს მშვიდობიანობის დამყარების მომასწავებელ ნიშნად. უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს ეხლა არა ჩინეთის მთავრობა, არამედ ის გარემოება, რომ უცხოელნი ვერ შეთანხმებულან საზღაურის გადახდის საშუალებათა შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას უზრუნველყოფილი საზღაურის გადახდა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ ინგლისის დეპუტატთა პალატამ 23 მაისს გაათავა კამათები უცხოეთში გასატან ქვანახშირზე დადებულის ბაჟის შესახებ. კამათი მეტად დიდ-ხანს გაგრძელდა, მაგრამ დეპუტატები თითქმის იმასვე იმეორებდნენ, რაც ნათქვამი იყო პირველ სხდომაზე. ამ ბაჟის წინააღმდეგები—დიბერალები ედვარდ გრეი და ასკიტი და კონსერვატორი დამბტონი—ამტკიცებდნენ, რომ ახალი გადასახადი ინგლისელ მრეწველებს და მუშებს დაუწვებათ ტვირთადო; პირიქით, ბაჟის მომხრეები ჯარიდ ბალფურის მეთაურობით ირწმუნებოდნენ, რომ ამ ბაჟს მთლად ინგლისის ნახშირის უცხოელი მეიდვეელები გადაიხდიანო. ოპოზიციამ თავისი აზრების სიმართლის დასამტკიცებლად მოიყვანა ის მაგალითი, რომ «ჩრდილოეთ-გერმანიის ლოიდ»-ის გემთა საზოგადოებამ უარი შემოსთვალა და არ იკისრა ბაჟის გადახდა იმ ნახშირზე, რომელსაც ინგლისიდან იბარებდა; ხოლო მთავრობის მომხრე დეპუტატებმა მაგალითად «სუფრანგეთის ატლანტის ოკეანეს საზოგადოებ» მოიყვანეს; ამ საზოგადოებამ, ეს-ეს არის უელში (ინგლისში) 120 ათასი ტონნა ქვანახშირი შეუკვეთა და ნახშირის ბაჟის გადახდაც თითონ იკისრა. კამათების დასასრულის დროს ბალფურმა მიჰმართა მთავრობის პარტიას და სთხოვა, რომ მას დახმარება გაუწია მთავრობისათვის. მოხდა კენჭის ყრა და ქვა-ნახშირზე დადებული ბაჟი მიღებულ იქმნა 105 ხმის უმეტესობით (333—წინააღმდეგ 227). უმეტესობას შეადგენდა მთელი მთავრობის პარტია, 10-ოდე უნიონისტის გამორიცხვით; ამ პარტიასვე მიემხრო 3 დიბერალი. მათ შორის ცნობილი ჯონ მორლეიც. უმცირესობას შეადგენდნენ დიბერალები, ირლანდიელები და ზემოხსენებული უნიონისტები.

✿ თუმცა არ შოლოდნენ, მაგრამ ინგლისის მთავრობას მაინც გადაუწყვეტია, რომ პალატას დაუყოვნებლივ წარუდგინოს კანონ-პროექტი საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ. ამბობენ, რომ მთავრობას ეს კანონ-პროექტი სასკოლო კომიტეტების ძალ-დატანებით შეაქვსო. ამ პროექტით განზრახულია, რომ საშუალო სკოლებს ადგილობრივი დაწესებულებანი განაგებდნენ.

✿ საფრანგეთში დიდ მდელვარებას იწვევს შემდეგი ამბავი, რომლის შესახებაც ამ ჟამად ყველა გაზეთები დაპარაკობენ. 1894 წელს დავალში თავი მოჰკვეთეს მდვდელ ბრიუნოს, რომელსაც მეორე მდვდლის ამბავი ფრიკოს მოკვლა ჰბრალდებოდა. ბრიუნო ერთ-თავად ამტკიცებდა, რომ ის უდანაშაულოა ამ საქმეში, უმთავრეს მოწამედ ბრიუნოს წინააღმდეგ იყო მოკლული მდვდლის მზვარეული-ქალი. ამ დღეებში ეს ქალი მომკვდარა და სიკვდილის-წინ მოწმების თანდასწრებით უდვიარებია, რომ ამბავი ფრიკო მან მოჰკლა. ამ მკვლელობის შემდეგ ის წასულა და ამბავ ბრიუნოსათვის თავისი ცოდო უდვიარებია, მაგრამ ბრიუნომ აღსარების საიდუმლოების დარღვესას ისევ სიკვდილი არჩია. გაზეთებმა მოითხოვეს, რომ გარდცვალებული ბრიუნოს საქმე ხელმეორედ იყოს განხილული. რასაკვირველია, მთელი საფრანგეთი ფეხზედ დადგა ამისთანა საზარელი შეცდომის გამო. გაზეთების თანამშრომლებმა ნახეს მაიენის დეპუტატი დერიბერ—დეგერდი, რომელსაც 1894 წ. რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობა ეჭირა. ამან შემდეგი განაცხადა:

«ჩემის აზრით, ამბავ ბრიუნოს სიმტკიცე ეჭვს გარეშეა. მართალია, 1894 წელს ის დაჟინებით ამბობდა, რომ მაგ საქმეში უდანაშაულო და მართალი ვარო, მაგრამ მისმა სიტყვებმა ვერ იმოქმედეს ნაფიც მოსამართლეებზე, რადგანაც ყველაფერი აშკარად ჰხდიდა მის ბრალსა».

მიუხედავად ამისა, დერიბერი დაუყოვნებლივ დავალში წავიდა, რომ ადგილობრივ გამოკვლევა, თუ რამდენად მართალია გაზეთების ცნობა, ვითომ მოკლული ფრიკოს მოსამსახურე ქალი გამოტყდა სიკვდილს წინ, რომ მკვლელი იყო თითონ ისა და არა ბრიუნო. «ადამიანის უფლების დამცველმა საზოგადოებამ» დაუყოვნებლივ კომისია დანიშნა და მიანდო—გამოკვლიოს ყველა ცნობები და ხმები ამბავ ბრიუნოს საქმის შესახებ. ხოლო გაზეთებში უკვე ისეთი ცნობები დაიბეჭდა, რომლების მიხედვითაც მთელი ეს ავად-მყოფი უსაფუძვლოდ უნდა იყოს ატეხილი. აი რას სწერენ დავალიდან გაზ. «მატენ»-ს:

«ადგილობრივი სასულიერო მთავრობის აზრით, მთელს იმ ცნობაში, ვითომ მოკლული მდვდლის მოსამსახურე ქალმა სიკვდილ წინ აღიარა, რომ მდვდელი იმან მოკლაო,—არც ერთი მართალი სიტყვა არ ურევია. ამავე აზრისანი არიან აქაური სასამართლოს წრეები და საზოგადოებაც. მოსამსახურე ქალი, რომელმაც ვითომ მდვდელი მოკლა, არ მოიკლარა. ის დღესაც ცოცხალია».

ამისთანავე ცნობა მიიღო გაზ. «სიეკლ»-მა. ზოგიერთი გაზეთები ჰფიქრობენ, რომ მთელი ეს ისტორია სულაც მოგონილია კლერიკალების მიერ და საარჩევნო ხერხს წარმოადგენსო.

✿ ჩრდილოელ-იტალიის გლეხ-კაცები გაფიცვას ახდენენ. ერთ-ადგილას გათავდება თუ არა, მაშინვე მეორე ადგილს იწყება გაფიცვა, და ამიტომ ჩრდილოეთ იტალიაში ხალხი მუდმივ შეშინებულია. ამ ადგილებში ამ ჟამად სოციალისტი დეპუტატები იმეორებენ და მხნედ მოქმედებენ მომავალი არჩევნების მოლოდინში. ხმა დადის, რომ უველა ამ წვრილ გაფიცვებით მხოლოდ დიდი საყოველთაო გაფიცვისთვის ემზადებიანო; ამ საყოველთაო გაფიცვაში დიდ-ძალი მუშა მიიღებს მონაწილეობას; ის უნდა მოხდეს ისეთ დროს, როცა მთავრობას ძალიერი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლება. ამბობენ, რომ გაფიცვას სწორედ გახურებულ მკის დროს მოახდენენო; იმედი აქვთ, რომ ამით მებატონეებს შეასრულებინებენ გლეხ-კაცების მოთხოვნილებას, რადგანაც მკის დროს მამულის პატრონებს მეტად ძალიერ უჭირთ ხოლმე მუშა ხელ, მკის გადადებაც ხომ შეუძლებელია. შეიძლება, რომ უველა ეს ცნობები ტეუილი ხმებიც იყოს, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ეს ხმები ზედ მიწევნით ახასიათებენ იტალიის ეხლანდელ მდგომარეობას.

✿ ამერიკის მთავრობას და რომის პაპის შეიძლება ძალიერი უსიამოვნესა მოუვიდეთ ერთ მანეთთანო. შეერთებულს შტატებს განზრახვა აქვთ, რომ ფილიპინების კუნძულზე ურიცხვ მონასტრებს მამული სახელმწიფოდ ჩამოართვათ. ამერიკელი კარდინალი გიბონსი და ფილიპინებზე გამწესებული პაპის დელეგატი რომში დაიბარეს სათათბიროდ; ამ თათბირში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მანილის არქიეპისკოპოსი, რომელიც უკვე რომში მოვიდა.

✿ ვაშინგტონიდან იწერებიან, ვითომც მთავრობამ გადასწყვიტა ფილიპინებზე მეოთხე ჯარის რიცხვი 40 ათას კაცამდე შეამცირონ. აქამდე ფილიპინების კუნძულებზე სულ 100-ათასი კაცი ჰყვანდა ამერიკას. ჯარის რიცხვის ასეთ თვალ-საჩინო შემცირებას იმის მოასწავებელ ნიშნად სთვლიან, რომ ხსენებულ კუნძულებზე ომი მალე გათავდებაო.

✿ ჩრდილოეთ ამერიკაში, შეერთებულს შტატებში, ქ. მუფალოში 1 მაისს მთელი ამერიკის გამოფენა გაიხსნა, ხოლო მომავალ ოქტომბრის დამდეგს მექსიკაში ამერიკის უველა რესპუბლიკების კონგრესსი გაიხსნება. როგორც გამოფენა, ისე კონგრესსი შეერთებულ შტატების მთავრობამ ითავა; მას ჰსურს, რომ მთელი ამერიკის რესპუბლიკები დაიახლოვოს. უნდა შეგნიშნოთ, რომ შეერთებული შტატების ამ ნაირ მისწრაფებას სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკის ერთინთა მოდგმის რესპუბლიკები ჯერ კიდევ უნდოთ უცქერიან. შეერთებული შტატების მთავრობამ უკვე დანიშნა ამ კონგრესზე გასაგზავნად დელეგატები, რომლებსაც ბრაზილიენტმა მაკ-კინლეიმ დაწვრილებითი ინსტრუქცია მისცა. კონგრესსზე მსჯელობა ექნებათ შემდეგ საკითხებზე:

1) საზოგადო ღონის-ძიებანი ამერიკის ცალკე სახელმწიფოების კეთილ დღეობის გასაუმჯობესებლად. 2 ამერიკის სადამოენო კავშირის დაწესება. 3) გემების წესიერი მიმოსვლის გამართვა ცალკე სახელმწიფოების უველა უმთავრეს ნავთ-სადგურების შუა. 4) ერთნაირი სადამოენო წესების დანიშვნა უცხოეთში გასატან და უცხოეთიდან შემოსატან საქონლისთვის; ერთნაირი-ბაჟის-დაწესება-ნავთ-სადგურებისათვის, ერთნაირი ფასი ეკუთვნოდეს და დასება სხვა და სხვა გარეგან შემოტანილ საქონლისათვის; საერთო სასანიტარო და საკარანტინო ღონის-ძიებათა შემოღება. 5) ზომის წონის ერთნაირი სისტემა; ერთნაირი კანონი პატენტებისა და ადმოჩენის პრივილეგიისთვის ავტორთა უფლებისა და ფაბრიკების მარკების და ბეჭდების დაცვისათვის. 6) ერთნაირი ფასი ანგარიში. 7) ამერიკის ცალკე სახელმწიფოთა შორის უველა დავის გადასაწყვეტად მედიატრო სასამართლოს დაწესება.

ამ ოფიციალურ პროგრამას გარდა, ამერიკელები ცდილობენ, მეტადრე სამხრეთ-ამერიკელები, რომ მთელი ამერიკის სიგრძეზე რკინიგზა აშენდეს. ესეთი განზრახვა ჯერ კიდევ პირველ კონგრესზე დადის ადტანებით მიიღო. ერთებული შტატების მაშინდელმა ცნობილ სტატს-სეკრეტარმა ბლენმა. ეს გზა უნდა ერთებულ შეერთებულის შტატებიდან, ტერასიდან გაიარაოს მექსიკა, ცენტრალური ამერიკა სამხრეთ-ამერიკის ზღვის პირ-პირ თვით ამერიკის ბოლომდე, ცეცხლის ქვეყნამდე მიდეს.

✿ ახალგაზდა ოსმალების პროპაგანდა და დღე უფრო საშიში ხდება ოსმალეთის მთავრობისათვის. ახალგაზდა ოსმალების პარტიან და თან თვით მუსულმანთა სასულიერო პირნიც კი ემხრობიან, რასაც აქამდე არ მოელოდა. რათა სასულიერო წოდების გულ-მოეგო, სულთანმა უბრძანა ვაკუფების (საქველმოქმედო დაწესებულებათა) მინისტრს, რომ უფლებებს და მოდებს (სასულიერო პირებია) მაგირები მოუმატოს და ბოლომად ფულები ურიგოს. მაგრამ ოსმალეთის სასულიერო დებაში ბევრი შეუსეიდველი და განთლებული ადმოჩნდა; ესენი ევროპაში გადადიან მათ მაგალითს სხვებიც ჰბაძავენ. კონსტანტინეპოლის უმთავრეს მეჩითის ნიჭიერი მქადაგებელი სულეიმან-მემდუს-ეფენდიც გაიქცა ინგლისში და ამით მეტად დააღონა ოსმალეთ მთავრობა და მისი მომხრე გაზეთები. სულეიმან-ეფენდი ჯერჯერობით ათინაში იმეორებს, რაგორც ამბობენ, განზრახვა აქვს ახალგ. ოსმალთა მიმართულების გაზეთი გამოსცეს. თუ ოსმალეთის მთავრობამ სიბერძნეთზე იმოქმედა და ამით ხელი არ მოუშალა.

ახალი ამბავი

✦ ოთხშაბათს, 2 მაისს, თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ საბოლოოდ გადახილა თავად-აზნაურობის ქარვასლის გეგმისათვის სახელმძღვანელოდ შემუშავებული წესდება. სარევიზიო კომისიისა შემუშავებული წესდება ცოტათი განირჩ ძველი წესდებისაგან. ამ ახალის წესდ. განხილვის დროს უმთავრესი ყურადღ. მიექცა გამგეობის მოქმედების შედარ. შემოფარგვლას, ასე რომ, ახალის წეს. ბით, მას კრების დაუკითხავად არ შეუძლ. არც ერთი კაპეიკი დახარჯოს იმაზე მ. რაც ხარჯთ-აღრიცხვით არ იქმნება განკარგულებაში გადაცემული. ამ საღ. კრებამ მიიღო წინადადება, რომ. თანახმად სარევიზიო კომისიის ნიშვნა დამოკიდებული იქმნება გუბერ. თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან. წეს. ბის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომა. აღძრა საკითხი, რომ, თანმხმად წესდ. მე-7 მუხლისა, ეხლავე ამ კრებაზე იქ. განსაზღრული ჯამი იმ ფულისა, რომ. უნდა გადაეცეს გამგეობას ქარვასლის მ. თველისათვის ჯამაგირის დასანიშნავად. დასაწყვეტად დაასახელეს სამი ციფრ. 2000,1500 და 1200 მან. ხმის უმეტ. ბით კრებამ გადასწყვიტა, იმ ხარჯებს გ. და, რაც ხარჯთ-აღრიცხვაში გათვალის. ნებული, გადაეცეს აღნიშნულ მიზნისათ. მამულის გამგეობას 1500 მან. კრება. დაიდო ხუთშაბათს 3 მაისის საღამოს. საათისათვის.

✦ საერო განათლების სამინისტრომ

...ება მისცა კავკასის სამოსწავლო ოლ-
...ინსპექტორს ბ. ზავადსკის შეუდგეს ხსე-
...ელ ოლქის მართვას. აქამდე მმართვე-
...იყო ოლქის მეორე ინსპექტორი ბ.
...ერი.

...ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის
...ექტორმა კავკასიის სამოსწავლო ოლ-
...ზრუნველის მოთხოვნილებისამებრ წა-
...გინა პროექტი ტფილისის სახელოსნო
...ავლებლის დაბალ მექანიურ-ტეხნიურ
...ოსნო სასწავლებლად გადაკეთებისა.
...როექტით სასწავლებელში 4 კლასი
...ბა—სახელოსნო ვანყოფილებისა და 4
...ნიკური. პირველ სამს წელიწადს ყველა
...ებში ასწავლიან საგნებს, როგორც
...ტიკულად ისე თეორიულადაც; უკა-
...ელ კლასში კი იქნება მხოლოდ
...ტიკული მეცადინეობა. სახელოსნო
...ოფილების სამის კლასის გათავების
...ეგ მსურველს ნება ექმნება შევიდეს ტეხ-
...ს განყოფილების პირველს კლასში;
...ო ამისთანა მოსწავლეთათვის სავალდე-
...ო არ იქნება ტეხნიკურ განყოფილების
...ხე კლასი. სასწავლებელში 300 მოსწა-
...იქნება. სკოლას დასჭირდება 700—800
... გარდა იმ ფულისა, რომელსაც ქალა-
...ძლევს წლიურად.

... ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა
...ცვლელად ნოქრების საურთიერთო და-
...ების საზოგადოების წესდება, წარდგე-
...ი ხსენებულ სამინისტროში ტფილისის
...ობისა და მან. ფაქტურის კომიტეტის მი-
...საზოგადოების მიზანია, დახმარება აღმო-
...ოს სავაჭრო სამრეწველო დაწებულება-
...სამსახურეთ როგორც მატერიალურად
...გონების განვითარების მხრივ. საზოგა-
...ების წევრობა შეუძლია ზემოხსენებულ
...ებულებებში მოსამსახურეთ. წევრები
...ბიან „ნამდვილნი“ და „დამხმარენი“.
...ვილი წევრები განიყოფებიან 3 კატე-
...იად. 1-ლ კატეგორიის წევრს შეაქვს
...ოწლიში 15 მ., 2-ისა—10 მ. და მე-
...ასა 5.; წლიური შესატანიდან განთავი-
...ლებული იქნება, ვინც ერთბაშად 150 მ.
...ანს. „დამხარ“ წევრს შემოაქვს 1 მ.
...ოწლიში ან 25 მ. ერთბაშად. საზოგა-
...ას უფლება ექნება, გარდა ფულით
...არებისა, ხელი შეუწყოს ნოქრების გო-
...ივ და ზნეობრივ განვითარებას სავაჭ-
...კურსების და ბიბლიოთეკების გახსნით,
...ცერტების და საღამოების გამართვით.
...ზოგადოება იმყოფება ფინანსთა სამინის-
...ს უწყებაში. წესდების დამტკიცების ამ-
...ემცნო საქმის ინიციატორებს, რომელ-
...ამ მოკლე ხანში კრება ექნებათ.

... ოთხშაბათს, 2 მაისს, შესდგა კავკა-
... საექიმო საზოგადოების წევრთა კრება
... თავმჯდომარის ბ ლარიონოვის თავ-
...ომარეობით. კრებამ ჯერ მოისმინა ექ.
...ვის პოლემიკური მოხსენება ექ. არტე-
...ის ცნობილ რეფერატის (ტფილისი, რო-
...ც კლიმატიური და ბალნეოლოგიური
...ური) გამო. ბ. ბაბაევმა დაამტკიცა
...ლოდ ის, რომ ექ. არტემიევს გაუკე-
...ა ქიმიურ ანალიზისათვის და ამოღებია
...ი ავჭალის წყლის მილის იმ ნაწილი-
... რომელიც ქალაქის სამზღვრებში იმ-
...ება. არსებით მხარეს არტემიევის რე-
...ტისას ბაბაევი არ შეჰხებია. შემდეგ
...ამ მოისმინა განსაკუთრებული კო-
...ის მოხსენემა ადგილობრივ ენებზედ
...ენურ და საექიმო წიგნაკების ბეჭდვის
...ებ. კრებამ მოიწონა ხსენებული კომი-
...აზრი და ამოირჩია კომისია (ექიმები
...ლიქოვი, ვიხრევი და ბელოგოლოვი)
...ცემის პროგრამის განსახილველად.

... ჩვენ გვატყობინებენ, რომ მიწად-
...ედების სამინისტრომ დაამტკიცა პრო-
... ბაქოს სამთო სასწავლებლისა განსა-
...ებულის სანავთო განყოფილებით. სას-
...ებლის ხარჯს კისრულობს ხაზინა და
...ის მწარმოებელთა კრება, რომელიც
...ლ წლივ გადაიხდის ამ მიზნისათვის
...00 მანეთს. ამ სკოლაში კურს დამთა-
...ულთ ექნებათ შტეიგერების უფლება.

✦ ქალაქის გამგეობის უკანასკნელს სხდომას ქ. გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას განსახილველად მოხსენება უსახელო საზოგადოებისა იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს მას წყნეთის ქუჩაზედ (ვარდის უბანში) უკვე გაკეთებულ ცხენის რკინის გზაზედ ვაგონების მოძრაობის დაწყობისა: გამგეობამ გადასწყვიტა დაინიშნოს საგანგებო კომისია გამგეობის წევრის თავ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით ამ გზის დასათვალიერებელ-შესამოწმებლად. კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ქალაქის ინჟინერი ენფენჯიანცი, ცხენის რკინის გზის თვალყურის მგდებელ კომისიის თავმჯდომარე ბ ნი სულხანიშვილი და ქალაქის ტეხნიკოსი შახნაზაროვი.

✦ ციმბირის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეატყობინა კავკასიის გამოფენის კომისარს, რომ გამოფენაზედ სამეურნეო ნაწარმოებიდგან საუკეთესო ექსპონატების დასაჯილდოვებლად ციმბირის სამეურნეო საზოგადოებამ დანიშნა 2 ვერცხლის, 5 ბრინჯაოს მედალი და 10 ქების ფურცელი.

✦ რადგანაც დიდი ნაწილი საბალნო სკოლის ბალისა უკვე დარიგებულია სხვა და სხვა პავილიონების ასაშენებლად და აგრეთვე იმიტომ, რომ საჭიროა საქმის დაჩქარება, ტფილისის ქალაქის თავმა სთხოვა გუბერნატორს დაუყოვნებლივ დაამტკიცოს საბჭოს მიერ არჩეული ორი პირი, რომელთაც მინდობილი აქვთ ქალაქის პავილიონის აშენების საქმე.

✦ სამოქალაქო ინჟენერთა საზოგადოებამ დაადგინა თავის უკანასკნელ სხდომაზედ მონაწილეობა მიიღონ მომავალ საიუბილეო გამოფენაში და გამართონ ამისათვის განსაკუთრებული პავილიონი.

✦ პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართულ-სომხური სიტყვიერების პროფესორობაზე მოსამზადებლად დატოვებული თავ. ჯავახიშვილი, მთავრობის განკარგულებით, სამზღვარ გარედ გაიგზავნა სამეცნიერო მიზნით.

✦ ქალაქის სკოლების გამგე კომისიის თავმჯდომარემ მოსთხოვა სკოლების გამგეთ, წარმოადგინონ 5 მაისისათვის სკოლების ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისათვის.

✦ გუშინდელ დღიდან ტფილისის ქალაქის გამგეობაში დაიწყო ხელის მოწერა ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის ნაწილის (200.000 მან.) განაღდებაზე. გუშინ ხელი მოაწერა 8000 მანეთის ობლიგაციაზე 6 კაცმა.

✦ პირველ მაისს, შუაღამის 12 საათზე, ფილაც ბოროტ-განმზრახველმა მოკვლა მოუნდომა კონდუქტორების ბრიგადის გამწესრიგებელ კელტოვსკის, როცა იგი სამორიგო ოთახიდან გამოვიდა. მძიმედ დაშავებული გრძნობა-დაკარგული კელტოვსკი საავადმყოფოში წაიყვანეს. ვინ არის ამ საქმის ჩამდენი, არ იციან.

✦ ხვალ, 5 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულ არიან შემდეგი საქმეები: ივანე მაისურაძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება; ვასილ მასხარაშვილისა ყაჩაღობისა და კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ედება ბრალად, ანტონ შოშიასი—ქურდობა ჰბრალდება, ათანასე სტურუასი—შეცდენა ედება ბრალად, მიხეილ აბაზაძისა, გიორგი ტატულაშვილისა, ლაზარე ჩლაჩეიშვილისა და ივანე დათუნაშვილისა, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

✦ წარსულ წელს ტფილისის მაზრის სოფელ ბერთუბანში მცხოვრებთ ძმებს ეფრემ და ილია მიხეილის ძეთ გაგნიაშვილებს მოსვლიათ ერთმანერთში ჩხუბი ბზის გამო; ჩხუბის დროს ილიას ეფრემისათვის ცულით შეუტევია, მაგრამ ეფრემი ძლივარდნია ძმას, უტაცნია ხელი და, საბრალმდებლო ოქმით, კიდეც წაურთმევია იარაღი, შემდეგ ვითომ უნდა დაეკრას კიდეც ილიასათვის მარცხენა გვერდში, რომელი ჭრილობითაც ილია რამდენიმე დღის შემდეგ გარდაცვლილა. ეს საქმე ტფილისის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილებამ განიხილა გუშინ, 3 მაის, მოწმების ჩვენებით გამოირკვა, რომ ეფრემს ცული კი არ დაურტყავს, არამედ წართმევის დროს წაქცეულა ილია და დაცემულა გვერდით იარაღზე, რისგანაც სასიკვდილოდ დაჭრილა იგი. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ეფრემ გაგნიაშვილი ილიას გულმოდგინებით დაჭრის საქმეში და გარდაუწყვიტა ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა. გაგნიაშვილი დააპატიმრეს.

✦ 2 მაის ტფილისში ცნობა მოვიდა, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის ბორჯომის შტო მე-11 ვერსტზე კლდის ზვავის ჩამოწოლის გამო სადგურ ხაშურსა და სუმბათოვოს შუა მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. ზვავი ღამის 11 საათზე და 30 წუთზე ჩამოწოლილა.. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, გზა უკვე გაუწმენდიათ და მატარებლების მიმოსვლა განახლებულა.

✦ გუშინ რკინის გზის ლიანდაგის დასათვალიერებლად ბაქოსაკენ წავიდა განსაკუთრებული კომისია (ბ. ვედენეევი, უმთავრესი კანტრალიორი და საბჭოს ორი წევრი).

✦ ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების ნებართვით, ტფილისის კომერციულ სასწავლებლის დირექტორი ფიშერი ამ ზაფხულს საზღვარ-გარედ მიდის. მისი თანამდებობის ასრულება დროებით შიენდობა ბ. იაკოვლევს, ხსენებულ სასწავლებლის მასწავლებელს.

✦ სახალხო სკოლების დირექტორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მან დაამტკიცა ხარფუხის სკოლის მაჰმადის სჯულისა და თათრულ ენის მასწავლებლად ჰუსეინ-ჰასან-ზადე.

✦ ქ. ფოთიდან გვწერენ: „წელს პირველ მაისმა დიდძალი ხალხი მიიზიდა, განსაკუთრებით სამეგრელოს დაბა-სოფლებიდან. ნაშუადღევს გაიმართა სეირნობა და ხუთს საათზე კი ჩვეულებისამებრ გააგდეს ბურთი. მოთამაშენი ერთის მხრით იყვნენ გურულები და ხონელები, მეორეს—მეგრელები. ბურთი გურულებმა გაიტანეს.“

პრესა

ჩვენში ხშირად გაიგონებთ ხოლმე ჩიავილსა და საყვედურს უცხოელ მწერლის მიმართ, რომელსაც უმოგზაურია ჩვენს ქვეყანაში, აუწერია იგი და შიგ მცხოვრები ხალხი და ამ აწერილობაში ბევრი რამ ქართველის თავმოყვარეობისათვის საწყენი მიუთავსებია. ეს ჩივილი და საყვედური საფუძველს მოკლებულია, რადგან ქებასა და პატივისცემით მოხსენებას დამსახურება უნდა. თუ გინდა, რომ ღირსეულად მოგიხსენიონ და მოგეპყრან, ჯერ შენ თვითონ უნდა აფასებდე შენს თავს, შენს ვინაობას.

აი რას სწერს ერთი რუსი მოგზაური ვარშავასა და პოლონელების შესახებ „ნ. ვ.“

„აქ, ვარშავაში, სრული ბატონობა ეკუთვნის პოლონურ ენას. კონდუქტორი, დარაჯი, სადგურის უფროსი, ყველა პოლონურად ლაპარაკობს. ამ ენაზე ატყობინებენ მგზავრს მატარებლის გაჩერებისა და წასვლის დროს, სთხოვენ ბილეთის ჩვენებას; რუსულს მხოლოდ საჭიროების დროს ხმარობენ და მოლაპარაკეს ატყობთ, რომ იგი სთარგმნის თვის აზრს პოლონურიდან. ვინც უნდა იყოს, ჯერ პოლონურად მოგმართავს, თუნდა მან რუსულიც კარგად იცოდეს. და ეს ხდება არა ეგრედ წოდებულ „ეროვნულ განხეთქილების“ მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ ვარშაველს აზრად არ მოუვა, რომ თქვენ პოლონური არ გესმით. განა ეგრეევ არ ხდება პეტერბურგში და მოსკოვში? ვის მოუვა აქ აზრი, გამო ლაპარაკოს ვისმეს ქუჩაში ან ტრამვაის ვაგონში არა რუსულად? სადაც სხვა ენა არის, იქ ცხოვრების მიმართულებაც სხვა არის. ფოსტის მოხელე ზის თვის სტოლთან და ჰკითხულობს „ნოვოე ვრემიასა“ და „ვარშავსკი დნევნიკის“ მაგიერ „Kurier Warszawsky“-ს. ვარშავის პრესსაში, [illegible] ბის შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავს [illegible] ამბებს; ჯერ ზემბრიხის და [illegible] ში გამართულ წარმოდგენების ანგარიშს დაბეჭდავენ და შემდეგ პეტერბურგის ამგვარსავე მოვლენას. .. ვარშავას დიდი სულიერი კავშირი აქვს უცხოეთთან და მეტად ნაკლები პეტერბურგთან.... ვისაც ჰსურს სწავლის დამთავრება და არ კმაყოფილდება ვარშავით, მიდის კრაკოვში და არა პეტერბურგში. საჭიროა თქვენის თვალით ნახოთ კრაკოვი, რომ მიხვდეთ, თუ რისთვის არის იგი ასე ძვირფასი თანამედროვე პოლონელისათვის, დაინახოთ, როგორ უფრთხილდებიან იქ პოლონეთის სიძველეს, რომელსაც პატივს სცემენ, როგორც ეროვნულს სიწმინდეს.

ჩვენთვის, რუსებისათვის, ყველა ზემოდ ნათქვამი მაინც და მაინც სანუგეშო არ არის... რაც უნდა იყოს მიზეზი ეროვნულ განხეთქილებისა და განკერძოებისა, იგი მაინც სამწუხაროა. მაგრამ თუ ავიღებთ პოლონელების ამ სიმტკიცეს თავის თავად, მიუხედავად ყოველგვარის დამოკიდებულებისა, არ შეიძლება სიმპატიითა და თანაგრძნობით არ უცქიროთ მას. იგი ნიშანია თავისთავის პატივისცემის, გამოთქმაა იმ ერის სიდიადისა, რომელსაც ჰქონდა თვისი ისტორია, თავისი წარსული. შეიძლება ეს პატრიოტობა არ იყოს ჩემის მხრივ, მაგრამ მე მოხარული ვარ, რომ პოლონელებმა შეირჩინეს ის კი არა, რაც შეუძლებლად ხდის ერთა დაახლოვებას, არამედ სულის დამოუკიდებლობა, ფიზიონომიის, ბუნების და გემოვნების თავისებურობა. განა ჩვენ თითონ პატივის ღირსი ვიქნებოდით, რომ რუსებად არ დავრჩენილიყავით და ან გავთათრებულიყავით, ან ევროპიელად გადავქცეულიყავით? პოლონელების თავისებურობა ჩვენთვისაც უკეთესის მომასწავებელია. მე მრწამს, რომ ერთ დროს ჩვენ (რუსი და პოლონელი) ერთმანეთს ხელს გაუწვდენთ, ორივენი ძლიერები სულით და ერთგულნი ჩვენ-ჩვენის თავისებურობისა“.

თუ გვინდა, რომ პატივის ცემის ღირსი ვიყვეთ და პატივი გვცენ, ამისთვის თავის-თავის უარყოფა არ არის საჭირო. თუ შენ თავს შენ არა სცემ პატივს, სხვა რა მოვალეა, შენ წინ მუხლი მოიდრიკოს და თაყვანი გცეს.

პროვინცია

ძუთაისი. 30 აპრილს ქალაქის საბჭოს კრება დაიწყო სადამოს 8 საათზე გამგეობის წევრის გვედესიანის თავმჯდომარეობით. ოქმის დამტკიცების და ერთი ახალი ხმოსნის დაფიცების შემდეგ, საბჭო შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას. საბჭომ მოისმინა ქალაქის გამგეობის მოხსენება შესახებ ტელეფონის მოწყობისა. გამგეობის ანგარიშიდან სჩანს, რომ ქალაქს დასჭირდება ტელეფონის მოსაწყობად ერთდროებრივი ხარჯი 20 ათასი მანეთი და ყოველ წლივ ხუთი ათას შვიდას მანეთამდე; ასი აბონენტისაგან ქალაქს ყოველ წლივ შემოუვა 7500 მან., მაშასადამე ხარჯის გამოკლებით დარჩება მას წმინდა მოგება 1800 მან. ყოველ-ამის მიხედვით ქალაქის გამგეობა ჩუეიქრობს—ადრეს კითხვა მთავრობის წინაშე და მოიპოვოს უფლება ტელეფონის გაწყობისა; მხოლოდ ამ უფლების შოვნის შემდეგ შეუდგეს იმის განხილვას, თუ ვის გადმართვას ტელეფონისთვის საჭირო ფული. საბჭომ მოიწონა გამგეობის მოხსენება და მიიღო იგი. ამის შემდეგ საბჭომ განიხილა რამდენიმე თხოვნა მცხოვრებთა მამულის შეცდომით შეფასების შესახებ, მოისმინა გამგეობის მოხსენება ხბოს ხორცზე ნიხრის დადგენის შესახებ (გირვანქა 11 კაპ.) და შეუდგა საქალაქო საკრებულოს განაჩენების მოსმენას. საბჭოს განსაკუთრებითი ეურადღება მიიქცია საკრებულოს იმ განაჩენმა, რომელიც შეეხებოდა ბ. ლოლუას, გაბაშვილის და ჩიმაკაძის ხმოსნობიდან გამორიცხვას და უკანასკნელის—ბ. ჩიმაკაძის—დროებით სამსახურისაგან გადაყენებას. საქალაქო საკრებულომ, მოისმინა რა რევიზიის მოხსენება, დაადგინა—მიეცეს სისხლის სამართალში ბ. ლოლუა, გაბაშვილი და ჩიმაკაძე 331, 336, 338, 339, 341, 343, 351, 404, 409 და 411 მუხ. სისხლ. სამარ. კანონ. და ჩიმაკაძე ამის გარდა კიდევ 354 და 356 მუხლ. ძალით. გამოირიცხონ ისინი ხმოსნების სიიდან და ბ. ჩიმაკაძე, რომელიც კიდევ ასრულებს ქალაქის გამგეობის

წევრის თანამდებობას, სამსახურიდანაც გადაუყენებულ იქნეს დროებით. საბჭომ მიიღო, რასაკვირველია, მხედველობაში საკრებულოს გადაწყვეტილება, მაგრამ, რადგანაც იგი სედავდა, რომ ქალაქის ინტერესებისათვის მავნებელია კამგეობის მარტო ერთის წევრის, ისიც ჯერ კიდევ კამოუცდელის, ოღა, დაადგინა ერთხმად ეთხოვოს გუბერნატორს ბ. ჩიმაკაძის ქალაქის კამგეობის წევრად დაბრუნება და იმის არ გადაყენება; შუამდგომლობა ამის შესახებ კრებამ მიანდო ს. ბ. თოფურიას, დ. ს. ნაზაროვს და მ. გ. ფადავას.

შემდეგ საბჭომ აირჩია თავმჯდომარედ თავის კრებაზე 120 მუხლ. ძალით საქალაქო დებულებისა (როდესაც ქალაქის თავს თავმჯდომარეობა არ შეუძლია) ალ. ი. თეფინაშვილი, ნაცვლად დ. ნ. ბაქრაძისა, რომელმაც ხმოსნობაზედაც უარი განაცხადა.

ბოლოს მოხდა არჩევნები ქალაქის თავისა. დაიდგა უეთი მარტო დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძემ, რომელიც არჩეულ იქნა, როგორც უკვე გაცნობეთ დეპეშით, 38 ხმის უმეტესობით 14 წინააღმდეგ.

დ. მ.

სოფ. დილიკაური. (შორაპნის მაზრა). მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი სოფელი სწავლა-განათლების მხრივ. მცხოვრებთა რიცხვი თუმცა სამოც კომლს აღემატება და არც ისე დარიბები არიან, მაგრამ ამ საქმეზე სრულებით არ ზრუნავენ.

ბევრი რამ თქმულა და დაწერილა ამ თვალსაჩინო ნაკლის შესახებ ჩვენ ყურნალ-გაზეთებში, მაგრამ «არა მკითხე მიამბე» უწოდეს მამხიდებელს და დანძდვა—წყევლა-გინებით ერმაც და მღვდელმაც კუდით ქვა ასროდეს.

მამა დ. ტ—შვილის ადგილზე გადმოუვანიდი ახალგაზდა მღვდელი მამა მ. ბუაჩიძე მოსვლისათანავე შეუდგა სკოლის საქმეს აიდო ნებართვა და მასწავლებელიც დაინიშნა (ბ. დადაქიშვილი); მაგრამ აქაური მცხოვრებნი ამ დიდათ სასიხარულო საქმეს ძრიელ გულცივათ შეხვდნენ. მატერიალურად და სხვა ფრივ ხელის მოწყობის მაგივრად, მხოლოდ მარტო კვირა-უქმე დღეს სხვა და სხვა უსარგებლო ლაყბობას ხედავენ საქმის დამწყებნი და ამ ყამად დამის არის სკოლამ თავი დაგვიგრას.

მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი ეკლესია! ის მოგაგონებთ ძველ დროდან დარჩენილ ბატარა სენაკს. კვირა-უქმე დღეს შიგ მდგომთ (რასაკვირველია, ვინც ადრე მოვა, ეკლესიაშიაც მხოლოდ მას ედირება შესვლა) მთელი გვერდები ადარ გამოჩენენ. ეკლესია ძალიერ დარიბია და გალავანი შემოუღობავი.—ბევრმა ჩასმენამ და ხანდახან ხვეწნამაც მამა მღვდელ ბუაჩიძისამ ბატარა ნაუოფი გამოიღო. გამოჩდნენ ზოგიერთნი ბირნი, რომელთაც არ დაიშურეს თავისი წვლილი და შეძლებისა დაგვარად შემოსწირეს ეკლესიას საჭირო სამკაული—დიდი შანდალი.

გალავნის შეღებაზე კარგა ხანია დაბარაკია აღძრული, მაგრამ არაფერი ეშველა. ხშირად დორები სთხრიან სასაფლაოებს. ამის გამო ადგილობრივმა ეზ. ი. საყვარელიძემ თხოვნა მიართვა ეპისკოპოსს.

ია. მ. ბეშელაშვილი.

ს. ასკანა. (გურია) 6 აპრილს შედგა საგანგებო კრება შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობისა. თუმცა ხუთ მარტს ამხანაგობამ მიიღო და დაამტკიცა გასული წლის ანგარიში, მაგრამ საჭიროდ ეგონა ამ ანგარიშის ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ... ...